



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ირმისებრნი



ირმისებრნი

ირმისებრნი (Cervidae), წყვილჩლიქოსან ცხოველთა ოჯახი. იყოფა ოთხ ქვეოჯახად: წყლის ირმები (Hydropotinae), შვლები (Capreolinae), მუნჯაკები (Muntiacinae) და ნამდვილი ირმები (Cervinae). ოჯახი შეიცავს 51 სახეობას. ირემთა ზომა მერყეობს კურდღლის (პუდუ) და ცხენის (ლოსი, ანუ ცხენირემი) ზომებს შორის. ხარებს აქვთ რქები, ფურებს – არა, გამონაკლისია ორი სახეობა: წყლის ირემს რქები არა აქვს, ხოლო ჩრდილოეთის ირემს (როგორც მამრს, ასევე მდედრს) აქვს. რქებზე შეიძლება არ ჰქონდეთ არც ერთი განტოტვა (გვარ მუნჯაკის ზოგი სახეობა) ან ჰქონდეთ 20 (ბარასინგა). წელიწადში ერთხელ ირმები იცვლიან რქებს, რებიც სცვივათ და შემდგომ ისევ ამოსდით.

ი. გავრცელებულია აზიაში, ევროპაში, ამერიკასა და ჩრდ.-დას. აფრიკაში. ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, ახალ გვინეაში და კარიბის ზღვის კუნძულებზე ინტროდუცირებულია. ზოგიერთი აზიური სახეობა ინტროდუცირებულია ინგლისშა და საფრანგეთში. ირმები გვხვდება როგორც ტყეებში, ასევე უდაბნოებში, ველებზე, სუბალპებსა და ალპებში, ტუნდრაში, ჭარბტენიან ადგილებში. მათი შეფერილობა ძირითადად სხვადასხვა იერის ყავისფერია, დაპკრავს მონითალო, მოყვითალო ან მორუხო ელფერი. ზოგ სახეობას კუდის ქვეშ აქვს სხვადასხვა ზომის ღია ფერის (თეთრიდან ყვითლამდე) ხალი, ე. წ. სარკე. ირმების სხვადასხვა სახეობები ან განმარტოებით ცხოვრობენ, ან ქმნიან მცირე ზომის ე.წ. „პარამხანის“ ტიპის დაჯგუფებებს, რ-შიც არის ერთი მამრი რამდენიმე მდედრით და ახალგაზრდა ირმები, რ-თაც მამრი იცავს. იგი მონიშნავს თავის ტერიტორიას თავზე, ფეხებზე განლაგებული განსაკუთრებული ჭირკვლების სეკრეტით, რ-იც არის შარდშიც.

ტროპიკებში გამრავლება ხდება მთელი წლის განმავლობაში, ზომიერი კლიმატის სარტყელში გამრავლების პერიოდი (ხურაობა, მყვირალობა) გვიან შემოდგომასა და ზამთარში იწყება. მხოლოდ შველი მყვირალობს ზაფხულობით. შობენ 1-2 ნუკრს, იმვიათად – ოთხს. ნუკრები ხალებიანია.

იკვებებიან მცენარეული საკვებით. ღრურქიანებისგან განსხვავებით, უფრო რბილ საკვებს ეტანებიან. კარგად დარბიან და ცურავენ. მათი ძირითადი მტრები არიან კატისებრნი, მგლები და ადამიანი. ამ უკანასკნელის უკონტროლო ნადირობის გამო გადაშენების პირას მდგარი ირმის მრავალი სახეობა საერთაშ. და რეგიონალურ წითელ ნუსხებსა და წიგნებშია შეტანილი, ზოგი სახეობა კი მხოლოდ ტყვეობაშია შემორჩენილი (დავითის ირემი – *Elaphurus davidianus*).

ა. ბუნიკაშვილი
